

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

31.12.2013 წელი

2 ეგზ.

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნა“

აუდიტის ანგარიში *აღ 21/105*

2010 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი



ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
პირობითი მოსაზრება.....	8
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	8
შემოსავლები	8
ხარჯები.....	9



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს საზოგადოების მიერ გაწეულ საქმიანობას და 2010, 2011 და 2012 წლების ბალანსებს 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: არაფინანსური აქტივებით ოპერაციები, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციები, წმინდა მოგება, მიღებული შემოსავლების, ძირითადი საშუალებების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ,



შეესაბამება თუ არა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი განხორციელებული საქმიანობის კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

დამფუძნებლის მიერ შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებიდან, საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით 17 342 820 ლარის ღირებულების აქტივების გატანა და შემდგომში განკარგვა, პროფილის შესაბამისად ქარხნის სრულფასოვნად ფუნქციონირების შეფერხების მაღალი რისკის შემცველია.

❖ შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ საბუღალტრო ჩანაწერებით, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქარხანას ბალანსზე ერიცხებოდა 25 414 703 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. აუდიტის პერიოდში შემცირდა 8 774 ლარის ღირებულების, გადაცემულია უსასყიდლოდ 1 897 ლარის ღირებულების, გატანილია საწესდებო კაპიტალიდან და შემცირებულია ძირითადი საშუალებების ღირებულება 17 342 820 ლარით. საბუღალტრო ჩანაწერების არასწორად წარმოების მოტივით, საზოგადოების ხარჯზე, შემცირებულია ძირითადი საშუალებების ღირებულება 7 672 401 ლარით, შესაბამისი კომისიის დასკვნით ჩამოწერილია უვარგისობის მოტივით 7 553 ლარის ღირებულების აქტივები, ცვეთის გათვალისწინებით, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქარხანას ნაშთად ერიცხება 74 535 ლარის ღირებულების ქონება.



❖ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებიდან შენობა-ნაგებობების ღირებულება შეადგენდა 1 015 626 ლარს, რეზერვუარის 1 995 484 ლარს, მილსადენები 825 518 ლარს, სატუმბოები 167 578 ლარს, სარკინიგზო ხაზის 1 213 717 ლარს, ენერგო საამქროს 248 989 ლარს და სხვა ძირითადი საშუალებები 19 947 791 ლარს. სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 27 მაისის N1-3/383 ბრძანებით გატანილია საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან 15 982 831 ლარის ღირებულების ქონება, 2011 წლის 24 იანვრის N1-3/41 ბრძანებით გატანილია საწესდებო კაპიტალიდან 24 605 ლარის ღირებულების ქონება ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს N106 (11/05/2012წ), N228 (15/08/2012წ) და N305 (14/12/2012წ) ბრძანებებით გატანილია საწესდებო კაპიტალიდან 1 335 384 ლარის, სულ 17 342 820 ლარის ღირებულების ქონება. აღნიშნულის გათვალისწინებით საზოგადოების ბალანსზე ნაშთად ირიცხება მხოლოდ 74 535 ლარის ღირებულების სხვა ძირითადი საშუალებები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებიდან, საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით 17 342 820 ლარის ღირებულების აქტივების გატანა, პროფილის შესაბამისად ქარხნის სრულფასოვნად ფუნქციონირების შეფერხების მაღალი რისკის შემცველია.

სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენლობის გამო, საზოგადოების საბალანსო მონაცემებში ძირითადი საშუალებების ღირებულების 7 672 401 ლარით შემცირების კანონშესაბამისობა მაღალი რისკის შემცველია და საჭიროებს დამატებით შესწავლას.

ძირითადი საშუალებების 7 672 401 ლარით შემცირებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ შემცირება განხორციელდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე. კერძოდ, 2011 წლის 22 სექტემბერს შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნაში მითითებულია, რომ 7 672 401 ლარი არის წინა პერიოდებში მიწის ხარვეზით გადაფასებისაგან წარმოშობილი ნამეტი, თუმცა აუდიტის დასკვნაში არ არის მითითებული, თუ რომელ პერიოდში იქნა დაშვებული შეცდომა-ხარვეზი, აგრეთვე არ არის წარმოდგენილი ხარვეზის დაშვების დამადასტურებელი შესაბამისი



მტკიცებულებები. შპს „აუდიტი-ბათუმის“ მიერ 2009 წლის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების აუდიტის დასკვნით კი ირკვევა, რომ (გვ. N4, გრძელვადიანი აქტივების აუდიტი) საწარმოს 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 815 568,58 კვმ მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 11 568 618 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა, შპს „საკონსულტაციო ჯგუფი R.G“-ის მიერ დეტალურად არ არის მითითებული რომელ პერიოდშია წარმოშობილი უზუსტობა. წინა პერიოდების (2004 წლის ჩათვლით) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია დალუქულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის მიერ და რომლის გახსნაზეც მოსამართლის მიერ 2013 წლის 1 მარტს უარი ეთქვა ქარხანას. ამდენად, საბალანსო მონაცემების 7 672 401 ლარით შემცირება მაღალი რისკის შემცველია და არ გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების კანონშესაბამისად შემცირებასთან დაკავშირებით.

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ, 2010-2011 წლების ანგარიშგებების არასრულყოფილად წარმოების გამო, 2013 წელს საზოგადოებას დამატებით დაეკისრა ბიუჯეტის სასარგებლოდ სანქცია 55 192,2 ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 9 დეკემბრის N081-878 სამართალდარღვევის ოქმით ირკვევა, რომ ქარხნის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ უნდა წარდგენილიყო 2011 წლის 31 მარტამდე - 2010 წლის მოგების გადასახადის ყოველწლიური დეკლარაცია 86 067 ლარზე, 2011 წლის 1 აპრილამდე - 2010 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 71 132 ლარზე, ხოლო 2012 წლის 2 აპრილამდე - 2011 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 26 775 ლარზე, რაც ფაქტობრივად არ არის წარდგენილი 2012 წლის 29 დეკემბრამდე. აღნიშნული დარღვევის გამო, შემოსავლების სამსახურის მიერ დამატებით დაკისრებულია საზოგადოებაზე სანქცია 55 192,2 ლარი, მათ შორის 2010 წლის პერიოდზე 47 160 ლარი, 2011 წლის პერიოდზე 8 032,5 ლარი.

იმ პირობებში, როდესაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არ არის ჩატარებული ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის



შედგენილი ურთიერთშედარების აქტები, საზოგადოების ბალანსზე რიცხული დავალიანებების ფაქტობრივი მდგომარეობა და აუდიტის პერიოდში ნაშთის ცვლილება მაღალი რისკის შემცველია.

საბალანსო მონაცემების მიხედვით, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქარხანას მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანების სახით ერიცხება 1 868 981 ლარი, კრედიტორულ დავალიანების სახით კი 363 181 ლარი.

✓ დებიტორულ დავალიანებად ირიცხება მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ანგN1410) 996 105 ლარი, გადახდილი ავანსების სახით (ანგN1480) 688 377 ლარი, მოკლევადიანი მოთხოვნები (ანგN1490) 179 681 ლარი და მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ (ანგN1430) 4 818 ლარი.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებები გაზრდილია და შეადგინა 2 118 508 ლარი, მათ შორის მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ანგN1410) 1 226 590 ლარი, გადახდილი ავანსების სახით (ანგN1480) 686 519 ლარი, მოკლევადიანი მოთხოვნები (ანგN1490) 180 887 ლარი და მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ (ანგN1430) 24 512 ლარი.

✓ კრედიტორულ დავალიანებად ირიცხება მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ანგN3110) 350 783 ლარი, გადასახდელი ხელფასი (ანგN3130) 11 665 ლარი, სხვა დარიცხული ვალდებულებები (ანგN3490) 733 ლარი.

✓ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებები შემცირებულია და შეადგინა 335 361 ლარი, მათ შორის მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ანგN3110) 329 222 ლარი, გადასახდელი ხელფასი (ანგN3130) 6 658 ლარი, სხვა დარიცხული ვალდებულებები (ანგN3490) 129 ლარი.

ბალანსზე რიცხული დავალიანებები ძირითადად წარმოშობილია 1999-2009 წლებში, რაზედაც საზოგადოების მიერ აუდიტის პერიოდში არ არის ჩატარებული სრული ინვენტარიზაცია,¹ არ არის შედგენილი დავალიანებების მქონე პირებთან ურთიერთშედარების აქტები. ამდენად, ბალანსზე რიცხული დავალიანებების ფაქტობრივი მდგომარეობა, რეალობა და აუდიტის პერიოდში ნაშთის ცვლილება მაღალი რისკის შემცველია.

¹ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-13 მუხლის, მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.



პირობითი მოსაზრება

აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ და „მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის“ საკითხების შესაძლო გავლენისა, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ 2010 – 2012 წლების ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების შესაბამისად.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შემოსავლები

წარმოდგენილი ანგარიშგებების მიხედვით, საზოგადოების მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენდა:

✓ 2010 წელს -1 568 313 ლარი, მათ შორის: ძირითადი საშუალებების იჯარიდან 1 507 318 ლარი, პროდუქციის რეალიზაციიდან 34 598 ლარი, მომსახურებიდან 16 502 ლარი, დეპოზიტიდან 6 179 ლარი და სხვა შემოსავალი 3716 ლარი.

✓ 2011 წელს - 213 567 ლარი, მათ შორის: იჯარიდან 1 441 ლარი, პროდუქციის რეალიზაციიდან 2 550 ლარი, საპროცენტო შემოსავალი 3 531 ლარი, ფასეულობის უსასყიდლო გადმოცემით 95 021 ლარი, სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 111 024 ლარი.

✓ 2012 წელს- 12 831 ლარს, მათ შორის: იჯარიდან 11 133 ლარი, საპროცენტო შემოსავალი 1 638 ლარი, სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 60 ლარი.

✓ აუდიტის პერიოდში ქარხნას მასალების რეალიზაციიდან (დღგ-ს ჩათვლით) მიღებული აქვს 46 970,06 ლარი. საზოგადოების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მასალების აუქციონის საშუალებით რეალიზაციის შესაბამისი მტკიცებულებები, რის გამოც არ გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება მასალების საბაზრო აფასებით რეალიზაციასთან დაკავშირებით.



ხარჯები

აუდიტის პერიოდში გაწეული ხარჯები შეადგენს 2 188 713 ლარს, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 598 521 ლარი, რეალიზებული მასალების თვითღირებულება - 17 013 ლარი, ძირითადი აქტივების ცვეთა - 327 555 ლარი, ტრანსპორტის შენახვის ხარჯები - 32 250 ლარი, კომუნალური და საკანცელარიო ხარჯები - 128 675 ლარი, საბიუჯეტო გადასახადები (ქონება, მიწა, სანქცია) - 777 306 ლარი, სხვადასხვა მომსახურებები (დაცვის, ზანკის და სხვა) - 130 883 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები - 5 817 ლარი, მარჩენალის დაკარგვის გამო კომპენსაცია - 16 899 ლარი, სხვა არასაოპერაციო ხარჯები - 153 794 ლარი.

ფინანსური შედეგებით მიღებულია ზარალი 2010 წელს - 54 236 ლარი, 2011 წელს - 187 485 ლარი, 2012 წელს - 152 281 ლარი.

უფროსი აუდიტორი

ნადიმ ბოლქვაძე

ნ. ბოლქვაძე

თარიღი

31.12.2013წ.

აუდიტორი

იონა წითელაძე

ი. წითელაძე

თარიღი

31.12.2013წ.

აუდიტორი

გურამ დუმბაძე

გ. დუმბაძე

თარიღი

31.12.2013წ.

ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი

2 0 1 0

წლის

31 დეკემბრისათვის

საფირმო სახელწოდება

შ.პ.ს "ბათუმის
ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

შ.პ.ს

იურიდიული მისამართი

ქ. ბათუმი თამარის დასახლება

დარგი (საქმიანობის სახე)

მომსახურება

ზომის ერთეული

1 ლარი

2010 წლის წლის ბოლოს (3 დეკემბერი) აღმართული ვაჭარები
57 (მომსახურება) ვაჭარები (ვაჭარები ზოგადი განმარტებით)
დაედასტოვა ისეთი ვაჭარები, რომლებიც სწავნიან

შ.ს.ს. "გ.ს.ს. - ს

პო. ზეოქოქი:



/თ. შავაძე/

2010 წლის 31 დეკემბერი

02-10-2013 წ.

აქტივი		კოდი (სტრიქ.)	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული სალაროში	1110	10	124	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	20	813905	588462
მოკლევადიანი ინვესტიციები	2 010	30		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	40	996105	1721270
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	1420	41		
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1515	50		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	60	4818	4510
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	70		
გადახდილი დღგ	3340	71	52096	52096
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	80	688377	686519
მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	90	179681	179681
სულ მიმდინარე აქტივები		100	2735106	3232538
სასაქონლო მატერიალური მარაგი				
საქონელი	1610	110	739	739
ნედლეული და მასალები	1620	120	560189	502475
დაუმთავრებელი წარმოება	1630	130		
მზა პროდუქცია	1640	140	8084	8084
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1690	150		
წიანასწარ გაწეული ხარჯები	1700	160	21382	0
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	170	1128980	1128980
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	1719374	1640278
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთები	2110	190	19573646	95120
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	200		
შენობა-ნაგებობები	2130	210	5461607	1169861
მანქანა-დანადგარები	2150	220	209515	113456
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	38766	37076
სატრანსპორტო საშუალებები	2180	240	85309	71163
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	45860	45761
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	260		
გადავადებული საგადასახადო აქტივები	2340	270		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	280	1177045	1177045
არამატერიალური აქტივები	2500	290		
სულ გრძელვადიანი აქტივები		300	26591748	2709482
სულ აქტივები		310	31046228	7582298



საქონლის მართვის სააგენტოს განყოფილება

პასივი	კოდი (სტრიქ.)	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	310	✓ 350783
მიღებული ავანსები	3120	320	
გადასახდელი ხელფასები	2 010	330	✓ 11665
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170	331	
მოკლევადიანი სესხები	3210	340	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230	350	
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	360	32734
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	370	0
გადასახდელი დღგ	3330	380	
გადასახდელი აქციზი	3350	390	
სოციალური გადასახადი	3370	400	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	410	✓ 177654
გადასახდელი პროცენტები	3410	421	
გადასახდელი დივიდენდები	3420	430	
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	440	733
სულ მიმდინარე ვალდებულებები	450	573569	819108
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4110	460	
გადავადებული მოგების გადასახადი	4210	470	
ანარიცხები	4300	480	
გადავადებული შემოსავალი	4410	481	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220	490	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	500		
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	510	28917261
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	520	1371607
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	530	
გაუნაწილებელი მოგება	5310	540	183791
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი			0
დაუფარავი ზარალი	5320	550	
სულ საკუთარი კაპიტალი	560	30472659	6763190
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	570	31046228	7582298

საწარმოს ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი



მთავარი ბუღალტერი

3

საწარმოს საკასპორტო მონაცემები
01.01.2011 წლის მდგომარეობით

1	საწარმოს დასახელება	შ.პ.ს."ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"
2	იურიდიული მისამართი	ქ.ბათუმი თამარის დასახლება
3	ფაქტიური ადგილმდებარეობა	ქ.ბათუმი თამარის დასახლება
4	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შ.პ.ს. (შპს, სს)
5	დაფუძნების თარიღი, რეგისტრაციის №	27.05.1927წ.
6	საიდენტიფიკაციო ნომერი	245400775
7	დირექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია	ნიკო თავდგირიძე ინასარიძე ქ5 ბინა 30 ტელ.577711477 (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
8	ბუღალტერი და საკონტაქტო ინფორმაცია	თამაზი შავაძე ხელვაჩაური,სალიბაური ტელ.555970202 (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
9	საწესდებო კაპიტალი	12926975
10	მიწა (კვ.მ.)	4237
	მიწის ღირებულება	95120

შენიშვნა: წარმოადგინეთ ბოლო ამონაწერები სამეწარმეო და საჯარო რეესტრებიდან

საწარმოს ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.



ნიკო თავდგირიძე

თამაზი შავაძე

ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება	შ.პ.ს. "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შ.პ.ს.
იურიდიული მისამართი	ქ.ბათუმი თამარის დასახელება
დარგი (საქმიანობის სახე)	მომსახურეობა
ზომის ერთეული	1 ლარი

2011 წლის ბიუჯეტის წესები (3 ფურცელი) დატვირთული ფურცელი
58 ფურცელი (ფურცელის ბოლოზე დატვირთული) დატვირთული ფურცელი
ვარსკვლავი წარმოადგენს

შ.პ.ს. "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"



სურს 61 ფურცელი

აქტივი	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში	1110	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	588462	688042
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	1721270	1226590
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1415		
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	1420		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	4510	4564
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1435		
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460		
გადახდილი დღგ	3340	52096	
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	686519	686519
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)	1490	179681	179681
სულ მიმდინარე აქტივები		3232538	2785396
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საქონელი	1610	739	739
ნედლეული და მასალები	1620	502475	494838
დაუმთავრებელი წარმოება	1630		
მზა პროდუქცია	1640	8084	8084
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1690		
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700		
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	1128980	1128980
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		1640278	1632641
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	2110	95120	95120
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120		
შენობა-ნაგებობები	2130	1169861	1108956
მრავალწლიანი ნარგავები, მიმოსვლის გზები	2145		
მანქანა-დანადგარები	2150	113456	98850
ოფისის აღჭურვილობა	2160	37076	29655
სხვა ძირითადი საშუალებები	2170	45761	45753
სატრანსპორტო საშუალებები	2180	71163	39225
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300		
გადავადებული საგადასახადო აქტივები	2340		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	1177045	1177045
არამატერიალური აქტივები	2500		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2709482	2594604
სულ აქტივები		7582298	7012641

საქონელი



2

პასივი	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	351999	329222
მიღებული ავანსები	3120		
გადასახდელი ხელფასები	3130	14819	
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160		
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170		
მოკლევადიანი სესხები	3210		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	171	663
გადასახდელი დღგ	3330	107104	14319
სოციალური გადასახადი	3370	5901	
ქონების გადასახადი	3380		74757
მიწის გადასახადი	3381		3167
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	338985	200
გადასახდელი პროცენტები	3410		
გადასახდელი დივიდენდები	3420		
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	129	129
სულ მიმდინარე ვალდებულებები		819108	422457
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220		
ანარიცხები	4300		
გადავადებული შემოსავალი	4410		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	12926975	12887218
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	-6300794	-6246558
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	7454	7454
გაუნაწილებელი მოგება	5310	129555	129555
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	5330		-187485
დაუფარავი ზარალი	5320		
სულ საკუთარი კაპიტალი		6763190	6590184
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7582298	7012641

საწარმოს ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი

მეთი ცეცხიძე



საწარმოს საპასპორტო მონაცემები
01.01.2012 წლის მდგომარეობით

1	საწარმოს დასახელება	შ.პ.ს."ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"
2	იურიდიული მისამართი	ქ.ბათუმი თამარის დასახლება
3	ფაქტიური ადგილმდებარეობა	ქ.ბათუმი თამარის დასახლება
4	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შ.პ.ს. (შპს, სს)
5	დაფუძნების თარიღი, რეგისტრაციის №	27.05.1927წ.
6	საიდენტიფიკაციო ნომერი	245400775
7	დირექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია	ნიკო თავდგირიძე. ინსარში ქ.5 ბინა 30.ტელ.577711477 (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
8	ბუღალტერი და საკონტაქტო ინფორმაცია	თამაზი შავაძე.ხელვაჩაური,სალიბაური ტელ.555970202 (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
9	საწესდებო კაპიტალი	12926975
10	მიწა (კვ.მ.) და საკადასტრო კოდი	4237
	მიწის ღირებულება	95120
11	შენიშვნა-ნაგებობების ფართობი და ღირებულება	ფართობი-1743,50 ღირებულება-1108956 ლარი.
12	კრედიტორული დავალიანებები, მათ შორის საგადასახადო	კრედ.დავალენებები-485150 მ.შ.საგადასახადო-154799

შენიშვნა: წარმოადგინეთ ბოლო ამონაწერები სამეწარმეო და საჯარო რეესტრებიდან

საწარმოს ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი

მეთი ერეკლავი



პ.ბ. 1

ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება	შ.პ.ს. "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შ.პ.ს.
იურიდიული მისამართი	ქ.ბათუმი თამარის დასახელება
დარგი (საქმიანობის სახე)	მომსახურეობა
ზომის ერთეული	1ლარი

2012 წლის დიდი ზრდაზე (3 ვუხევი) და კაპიტალი
ფიქსი 44 ვუხევი (ვუხევის ზომით განიხილეთ) და კანონ
ზომისა და სხვა ვადასტურებ სერვისი

შ.პ.ს. "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"

სერი 47 ვუხევი



აქტივები	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში	1110	0	
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	688042	588431
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	1226590	1226590
საექვსო მოთხოვნების კორექტირება	1415		
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	1420		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	4564	24512
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1435		
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460		
გადახდილი დღგ	3340		
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	686519	686519
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)	1490	179681	180887
სულ მიმდინარე აქტივები		2785396	2706939
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საქონელი	1610	739	739
ნედლეული და მასალები	1620	494838	471220
დაუმთავრებელი წარმოება	1630		
მზა პროდუქცია	1640	8084	
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1690		
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700		
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	1128980	1128980
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		1632641	1600939
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	2110	95120	
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120		
შენობა-ნაგებობები	2130	1108956	
მრავალწლიანი ნარგავები, მიმოსვლის გზები	2145		
მანქანა-დანადგარები	2150	98850	2293
ოფისის აღჭურვილობა	2160	29655	20838
სხვა ძირითადი საშუალებები	2170	45753	45743
სატრანსპორტო საშუალებები	2180	39225	5661
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300		
გადავადებული საგადასახადო აქტივები	2340		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	1177045	1177045
არამატერიალური აქტივები	2500		
სულ გრძელვადიანი აქტივები		2594604	1251580
სულ აქტივები		7012641	5559458

საწარმოს ხელმძღვანელი

დირექტორი :

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრიდან

დირექტორი:

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრამდე

მთავარი ბუღალტერი :

ლ. ჯინჭარაძე

ნ. თევდგირიძე

მ. ზეგაძე



სხვა დამატებითი მითითება: თქვენი ხელმოწერა

პასივი	ანგარიშის ნომერი	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	✓ 329222	✓ 328574
მიღებული ავანსები	3120		
გადასახდელი ხელფასები	3130		✓ 6658
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160		
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170		
მოკლევადიანი სესხები	3210		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310		86067
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	✓ 663	3008
გადასახდელი დღგ	3330	✓ 14319	13050
სოციალური გადასახადი	3370		
ქონების გადასახადი	3380	✓ 74757	87280
მიწის გადასახადი	3381	✓ 3167	3167
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	✓ 200	
გადასახდელი პროცენტები	3410		
გადასახდელი დივიდენდები	3420		
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	✓ 129	✓ 129
სულ მიმდინარე ვალდებულებები		422457	527933
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220		
ანარიცხები	4300		
გადავადებული შემოსავალი	4410		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	12887218	11574453
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	-6246558	-6246558
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	7454	
გაუნაწილებელი მოგება	5310	129555	43488
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	5330	-187485	-152281
დაუფარავი ზარალი	5320		-187577
სულ საკუთარი კაპიტალი		6590184	5031525
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7012641	5559458

საწარმოს ხელმძღვანელი

დირექტორი :

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრიდან

დირექტორი:

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრამდე

მთავარი ბუღალტერი :

ლ. ჯინჭარაძე

ნ. თავდგირიძე

თ. შავაძე

* აღნიშნული სტრიქონის მონაცემები ბალანსის პასივის პოზიციის განაყოფის ჯამს აკლდება

მეორე რეგისტრაციის სტრუქტურა

წლიური შედეგები

საქმიანობის მართვის განყოფილება

პასივი

2

საწარმოს საპასპორტო მონაცემები
01.01.2013 წლის მდგომარეობით

1	საწარმოს დასახელება	შ.პ.ს."ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "
2	იურიდიული მისამართი	ქ. ბათუმი თამარის დასახელება
3	ფაქტიური ადგილმდებარეობა	ქ.ბათუმი თამარის დასახელება
4	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შ.პ.ს. (შპს, სს)
5	დაფუძნების თარიღი, რეგისტრაციის №	27.05.1927 წ.
6	საიდენტიფიკაციო ნომერი	24500775
7	დირექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია	(სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
8	ბუღალტერი და საკონტაქტო ინფორმაცია	თამაზი შავაძე,ხელვაჩაური,სალიბაური ტელ.555970202 (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ. №)
9	საწესდებო კაპიტალი	11574453
10	მიწა (კვ.მ.) და საკადასტრო კოდი	არა
	მიწის ღირებულება	არა
11	შენობა-ნაგებობების ფართობი და ღირებულება	არა
12	კრედიტორული დავალიანებები, მათ შორის საგადასახადო	კრედ.დავალეანებები 531206 მ.შ. საგადასახადო 190161

შენიშვნა: წარმოდგინეთ ბოლო ამონაწერები სამეწარმეო და საჯარო რეესტრებიდან

საწარმოს ხელმძღვანელი

დირექტორი :

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრიდან

დირექტორი:

პასუხისმგებელია 2012 წლის 19 დეკემბრამდე

მთავარი ბუღალტერი:

ლ. ჯინჭარაძე
ნ. თავდგირიძე
ბ. შავაძე

ბ. ა.
სსიპ ეკონომიკის სამსახური
2012 წ. 19 დეკემბერი

